საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 26.

თბილისი 13.10.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა ,,მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმია - დირექტორის მოადგილე;
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ფურცხვანიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს - მრავალდარგოვან პროფესიულ სასწავლებელ „მედიკ-ფორტეს" დირექტორი იზა დიაკვნიშვილი, დირექტორის მოადგილე აზა დიაკვნიშვილი;
2. შპს - „ორიენტირი+"-ის დირექტორი ილია იაკობაშვილი, აგრეთვე დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
3. შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია-ხელოვნების უმაღლესი სკოლის დირექტორი თამაზ გოთუა, დირექტორის მოადგილე ლევან გოთუა, კათედრის გამგე ირაკლი ლომთაძე;
4. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორის მოადგილე თეა მახათელაშვილი, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი ირა ბოჭორიძე;
5. შპს - „სპექტრი 95" ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის დირექტორი ლევან ჭელიძე;
6. შპს -,,მომავლის'' დირექტორი ნანა ფხაკაძე, დამფუძნებელი სოსო ფხაკაძე, ხარისხის მართვის მენეჯერი ნინო ხურციძე;
7. შპს - ქართულ - ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორი მამუკა მესხიშვილი, ხარისხის მართვის მენეჯერი მიხეილ ტეფნაძე;

8. სპს - საერო სკოლა „მაია მზარელუას“ ხელმძღვანელი მაია მზარელუა, დირექტორის მოადგილე მარინა გვარამია-ჭანტურია, მენეჯერი ხათუნა გვარამია-წურწუმია;
9. შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა „შოვის“ დირექტორი იოსებ გუტაშვილი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი ლევან სულთანიშვილი;
10. შპს - „კვანტის“ დირექტორი ინგა კვანტალიანი;
11. შპს - წმინდა ექვთიმე ათონელის სახელობისლიცეუმის დირექტორი თამარ შუბლაძე.

ავტორიზაციის ექსპერტები:
მაია ხურცილავა;
ნონა ზუმბაძე;
მაკა კაჭარავა;
ირინა დვალი;
იანინა გიგიბერია;
ლიანა ჩარკვიანი;
ლეილა გველესიანი;
ლიანა კობესაშვილი;
ნინო ჟვანია;
კახა ჟღენტი;
ქეთევან რეხვიაშვილი;
მარიამ ხუციშვილი;
რეზო ნინუა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის კახი ყურაშვილის არყოფნის გამო, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იოსებ სალუქვაძე, რომელმაც, ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს რუსუდან ტყეშელაშვილს.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:45 სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - მრავალდარგოვან პროფესიულ სასწავლებელ „მედიკ-ფორტეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - „ორიენტირი+“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია-ხელოვნების უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - „სპექტრი 95“ ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - „მომავლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - ქართულ - ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სპს - საერო სკოლა „მაია მზარელუას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა „შოვის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - „კვანტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - წმინდა ექვთიმე ათონელის სახელობისლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობები არ ყოფილა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს - მრავალდარგოვან პროფესიულ სასწავლებელ „მედიკ-ფორტეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

შპს - მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლებელი „მედიკ-ფორტე“ ქუთაისში, ზ. გამსახურდიას გამზ. N34-ში იჯარის ხელშეკრულებით ფლობს ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე განლაგებულ 295,21 კვ. მ. ფართს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” მე-7 მუხლის ,,ა.ა” ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში ერთ მისამართზე უნდა ჰქონდეს 400 კვ. მ. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა იზა დიაკვნიშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ავტორიზაცის ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს. დირექტორმა განმარტა, რომ უახლოეს მომავალში დაწესებულება აპირებდა ახალი შენობის შესყიდვასა და გაფართოებას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიული კოლეჯის კონტინტენგის 100-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებიდან გამომდინარე, დაწესებულებას განესაზღვრება 99 პროფესიული სტუდენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალდარგოვან პროფესიულ სასწავლებელ „მედიკ-ფორტეს“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 99-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მრავალდარგოვან პროფესიულ სასწავლებელ „მედიკ-ფორტეს“ მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაღვროს 99-ით.

2. შპს - „ორიენტირი+“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 ექთნის თანაშემწის სტანდარტში, მე-2 და მე-3 საფეხურებზე კრედიტების 60% ეთმობა პრაქტიკას. წარმოდგენილი სასწავლო გეგმით მე-2 საფეხურის ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 16 კრედიტს, ნაცვლად 18 კრედიტისა (60%). ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყოფილია 34 კრედიტი, ნაცვლად 36 კრედიტისა (60%).

1.2 ექთნის თანაშემწის მე-2 და მე-3 საფეხურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში საწარმოო პრაქტიკა მოიცავს დამოუკიდებელი მუშაობის საათებსაც, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

1.3 სწავლის შედეგების რუკაში მითითებული საწარმოო პრაქტიკის სახელწოდება არ ემთხვევა სასწავლო გეგმაში მითითებულ ორ საწარმოო პრაქტიკას - მედდის საქმესა და ავადმყოფის მოვლას.

1.4 ექთნის თანაშემწის მეორე და მესამე საფეხურების პროგრამებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ერთი და იგივე საგნების სწავლა, რაც დასტურდება ასევე სილაბუსებით მისაღწევი სწავლის შედეგებითა და კურსის შინაარსით. მაგალითად: ლათინური ენა, კომპიუტერული ტექნიკის საბაზისო კურსი, ანატომია ფიზიოლოგიით და პათოლოგიით, მედდის საქმე.

1.5 მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 14 სასწავლო კურსი, მათ შორის ორი პრაქტიკა, ხოლო სწავლის შედეგების რუკაში მოცემულია მხოლოდ 8 საგანი.

1.6 ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პოგრამების საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში შინაარსის ნაწილში მოცემულია მხოლოდ პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი აქტივობები/თემები/ საათებისა და კვირების გარეშე.

1.7 მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში არ არის მოცემული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, რომელსაც ეთმობა სტანდარტით გათვალისწინებული 60%.

1.8 მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში საწარმოო და სასწავლო პრაქტიკა მოიცავს დამოუკიდებელი მუშაობის საათებსაც, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერს №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

1.9 სილაბუსების თანახმად, პრაქტიკის შეფასება ხდება ჩათვლით და გულისხმობს სტუდენტის დღიურისა და ანგარიშის მომზადებას, თუმცა არ არის ასახული შეფასების 100-ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემა და ქულათა გადანაწილება, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების 100-ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემა.

1.10 ხშირ შემთხვევაში სილაბუსების სწავლის შედეგები არ ემთხვევა პროგრამის შედეგების რუკას და წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაციის სახით. სწავლის შედეგები არ არის წარმოდგენილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგების თანახმად, პროგრამა სრულად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ვინაიდან სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საჭირო სასწავლო კურსების შესწავლა, მაგალითად: ურთიერთობის ფსიქოლოგია, ბიოლოგიური მეცნიერებების ზოგადი საფუძვლები, მარტივი არითმეტიკული ოპერაციები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

შპს - „ორიენტირი+" მდებარეობს ქ. საჩხერეში, დავით აღმაშენებლის ქ. №2-ში (საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 152 კვ. მ.-ს, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში). ექსპერტებისათვის წარმოდგენილი იქნა აგრეთვე იჯარის ხელშეკრულება 138,23 კვ. მ. ფართზე, რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა ილია იაკობაშვილმა განმარტა, რომ მისი ინფორმაციით, თუ ხელშეკრულებას ხელს აწედრა ორივე მხარე (მეიჯარე და მოიჯარე), მაშინ აღნიშნულ ხელშეკრულებას ნამდვილობისთვის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია აღარ სჭირდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ იოსებ სალუქვაძემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ ფართზე საკუთრების ან მფლობელობის უფლების დასადასტურებლად საჭირო იყო შესაბამისი ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

იოსებ სალუქვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ ხარვეზებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის გამოასწორეს დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შენიშვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ მათ მიერ შენიშვნების გამოსწორება მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ, როდესაც ოფიციალურად გაეცნენ დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო ვერ იმსჯელებდა ექსპერთა ვიზიტის დასრულების შემდგომ გამოსწორებულ ხარვეზებთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ორიენტირი+“-ის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ორიენტირი+“-ს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

3. შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სკოლის საათობრივი ბადე მოიცავს VII - XII კლასების გაკვეთილების განრიგს. აღსანიშნავია, რომ საათობრივი ბადე წარმოადგენს ახალი, 2011–2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილს, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებასთან, რომელშიც აღნიშნულია, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2011–2012 სასწავლო წელს უნდა დაინერგოს I-VI კლასებში, ხოლო VII-XII კლასებში - 2012–2013 წლიდან.

1.2 საათობრივ ბადეში მოცემული არ არის არჩევითი საგნების ჩამონათვალი.

1.3 საათობრივ ბადესა და გაკვეთილების ცხრილში გარკვეულ შემთხვევებში არ არის თანხვედრა. მაგალითად: VII კლასში მათემატიკა საათობრივი ბადის მიხედვით ისწავლება 4 საათი, გაკვეთილების ცხრილში კი მოცემულია - 3 საათი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ბადეში - 2 საათია, ცხრილში – 5 საათი. VIII კლასში ქართული ენა და ლიტერატურა საათობრივი ბადით - 5 საათია, ცხრილით – 4 საათი, მათემატიკა ბადით - 4 საათია, ცხრილით – 3 საათი. IX კლასში მათემატიკა ბადით - 5 საათია, ცხრილით – 3 საათი, სახვითი ხელოვნება ბადით – 1,5 საათია, ცხრილით – 3 საათი. მუსიკა გაკვეთილების ცხრილიდან საერთოდ ამოღებულია.

1.4 სკოლის საათობრივ ბადეში არ ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. ეს დაადასტურა სკოლის წარმომადგენელმაც, თუმცა საგაკვეთილო ცხრილში ჩანს, რომ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებად სკოლა მოსწავლეს სთავაზობს სავალდებულო დამატებითი საგნის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლებას X-XII კლასებში (კვირაში 4 საათი).

1.5 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი არ არის სკოლის ხედვა, პროგრამა ან ღონისძიებები, რომლებიც ჩატარებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების ყოლის შემთხვევაში.

1.6 სკოლამ ვერ წარმოადგინა კათედრების სამუშაო გეგმები, რომლებშიც გამოჩნდებოდა, თუ როგორ მოხდა შეფასების სისტემის და სახელმძღვანელოების არჩევა. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს, როგორ ხდება შეფასების სისტემის გაცნობა სასკოლო

საზოგადოებისათვის: მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. დაწესებულების შინაგანაწესში, მასწავლებლის მოვალეობებში არ არის აღნიშნული, აცნობს თუ არა და რა ფორმით შეფასების სისტემას საგნის მასწავლებელი მოსწავლეებს. პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი წელს და შარშან იყენებდნენ 4-კომპონენტიან შეფასებას. შეფასების კომპონენტებს წარმოადგენდა: აქტიურობა, საშინაო დავალება, ახალი მასალის გაგება, შემაჯამებელი გაკვეთილი. გარდა ამისა, პედაგოგები არ იცნობდნენ შეფასების ტიპებს: განმსაზღვრელსა და განმავითარებელს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო საკლასო ჟურნალი, რომელშიც ვერ ფიქსირდებოდა ქულები შეფასების კომპონენტების მიხედვით.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის თანახმად, შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლა ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას №8-ში შპს ,,საქგეოლრუქისგან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 350 კვ. მ.-ს, თუმცა საჯარო რეესტრის მონაცემებით, სკოლა ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 301.7 კვ. მ.-ს.

2.2 დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს - ,,ჯეო დეკორთან" ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგია-ანატომიისა და საერთო დანიშნულების აღჭურვილობის შეძენაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა გადახდილი თანხის (1150 ლარი) დამადასტურებელი ქვითარი.

2.3 გრიფირებული სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში სრულიად არ იყო წარმოდგენილი.

2.4 დაწესებულებას შპს - „ჯეო კონტაქტთან" გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. გარე პერიმეტრის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს 1 ვიდეო კამერა. შიდა პერიმეტრის კონტროლისათვის დაწესებულებას ვიდეომეთვალყურეობის მოწყობილობა არ გააჩნია. გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერის შესაბამისობა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებასთან ვერ დადგინდა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა თამაზ გოთუამ აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლაში გაძლიერებული იყო ხელოვნების მიმართულებების სწავლება, სასკოლო სასწავლო გეგმა განსხვავდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმისგან. შესაბამისად, ზოგიერთი საგანის გაკვეთილებს დააკლდა საათების რაოდენობა და აღნიშნული საათები დაემატა სამხატვრო გაკვეთილებს.

იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, იზიარებდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენელი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს.

თამაზ გოთუამ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ ყველა ხარვეზი უკვე გაზიარებული და გამოსწორებული ჰქონდა.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა კათედრების სამუშაო გეგმები. იოსებ სალუქვაძემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს ირინა დვალს, ჰქონდა თუ არა შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების

უმაღლეს სკოლას შემუშავებული კათედრების სამუშაო გეგმები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კათედრების სამუშაო გეგმები სკოლას ჰქონდა, თუმცა მათში განსაზღვრული არ იყო, თუ როგორ ხდებოდა შეფასების სისტემის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ იყო გაკვეთილების ცხრილიდან ამოღებული მუსიკა. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მათ მუსიკის გაკვეთილი ინტეგრირებული ჰქონდათ ხელოვნების გაკვეთილში. შესაბამისად, მუსიკა, როგორც ცალკე საგანი სკოლაში არ ისწავლებოდა. თამაზ გოთუას განმარტებით აღნიშნული ხარვეზიც უკვე გამოსწორებული ჰქონდათ.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით იყო არსებითი. კერძოდ, ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში ხორციელდებოდა 4 კომპონენტიანი შეფასება, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰქონდა სკოლას ვიდეომეთვალყურეობის სისტემა გარე პერიმეტრის კონტროლისთვის. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩა №8-ში მდებარე შენობის მეოთხე სართულზე. შესაბამისად, დაწესებულების დირექტორის განმარტებით, გარე პერიმეტრის კონტროლისთვის სკოლას კამერები არ ესაჭიროებოდა.

იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების მიზნით, კამერებით უნდა კონტროლდებოდეს სკოლის შესასველი, გასასვლელი, ეზო და მთლიანად სკოლის გარე პერიმეტრი.

ლაბორატორიასთან დაკავშირებით, თამაზმ გოთუამ აღნიშნა, რომ მათ უკვე შეძენილი ჰქონდათ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

სხდომის თავმჯდომარემ 20:30 საათზე გამოაცხადა შესვენება.

სხდომა განახლდა 20:50 საათზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 4

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მართალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიოზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლის მიმართ იყო უარყოფითი, თუმცა საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2011 წლის 24 დეკემბრიიდან, როდესაც დამთავრდება მიმდინარე სასწავლო სემესტრი.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლეს სკოლას უფლება ჰქონდა გაეგრძელებინა საგანმანათლებლო საქმიანობა 2011 წლის 24 დეკემბრამდე.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლეს სკოლას უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

4. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულებას ჯერ არა აქვს დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები, თუმცა 2011 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება შპს - „ლოჯიქალ სისტემზ კომპანიასთან“. აღნიშნული კამერები აკმაყოფილებს და შეესაბამება ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჯება-ექსპლუატაციის წესებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების კამერები დაწესებულების მიერ სრულად იყო შეძენილი. აღნიშნული კამერები სრულ შესაბამისობაში იყო ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჯება-ექსპლუატაციის წესებთან.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან დაწესებულების მიერ უსაფრთხოების კამერების ღირებულება მთლიანად იყო გადახდილი და ისინი შეესაბამებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ზემოაღნიშნულ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს, მისი აზრით, ამ შემთვევაში ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამობას ადგილი არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის

განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სკოლის კონტინტენგის 50-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო 50 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებულ წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაღვროს 50-ით.

5. შპს - „სპექტრი 95“ ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლა განთავსებულია კერძო საცხოვრებელ სახლში.

1.2 სკოლას აქვს ფრენბურთის მოედანი, რომლის გარშემო ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კეთდებოდა სარბენი ბილიკი.

1.3 სკოლის ვებგვერდია www.skolaspectri.ucoz.com, რომელიც ასრულებს საკონტაქტო ფუნქციას. საიტზე მწირი ინფორმაციაა განთავსებული, კერძოდ, სკოლის მისია და ისტორია.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

2.1 ინგლისური ენის 2 მასწავლებელი არის სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, იოსებ სალუქვაძემ, იკითხა, თუ რამდენად იყო შესაძლებელი სტუდენტი ყოფილი მასწავლებელი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი მასწავლებლები არ არიან, არამედ - მასწავლებლის თანაშემწეები.

დაწესებულებაში ვიზიტზე მყოფმა ექსპერტმა დაადასტურა ზემოაღნიშნული და განაცხადა, რომ დასკვნაში შეცდომა გაიპარა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლის შენობა, მართლაც, საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა, მაგრამ პრობლემა არ იქმნებოდა, რადგან გამავალი ოთახები არ იყო.

საბჭოს წევრის, იოსებ სალუქვაძის, განცხადებით, სკოლის აღნიშნული ტიპის საცხოვრებელ სახლში განთავსება არ არღვევდა სდანდარტის მოთხოვნას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 130 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები აღნიშნეს, რომ სკოლას კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 100 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „სპექტრი 95“ ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „სპექტრი 95“ ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაღვროს 100-ით.

6. შპს -„მომავლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლას აქვს ვებგვერდი (www.momavali.ucoz.net), რომელიც საჭიროებს დამატებით დამუშავებას, რათა მან შეასრულოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქცია. ვებგვერდის განყოფილებები უმეტესად ცარიელია (მოქმედია - „კალენდარი“, „ფოტო გალერეა“; ცარიელია - „ჩვენს შესახებ“, „სიახლეები“, „დირექცია“);

1.2 საკლასო ოთახები ძირითადად აღჭურვილია ორადგილიანი მერხებით, თუმცა არის ერთადგილიანიებიც (სულ 12 ორადგილიანი, 22 ერთადგილიანი მერხი და 48 სკამი), რომლებიც მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად არის შერჩეული;

1.3 სკოლის კანონიერ მფლობელობაშია 4 კომპიუტერი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მერხთან დაკავშირებული ხარვეზი გამოსწორებულია, რაც შეეხება კომპიუტერს, დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ კომპიუტერი არ შეუძენია.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი ხორციელდება თავად დაწესებულების სურვილით, რომელიც ცენტრს მიმართავს საავტორიზაციო განაცხადით და იხდის შესაბამის საფასურს. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის მაძიებლის ინტერესებშია, რომ მომზადებული დახვდეს ექსპერტებს და გაითვალისწინოს კანონით დადგენილი ყველა მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მისთვის უცნობი იყო მოთხოვნა მინიმუმ ხუთი კომპიუტერის არსებობის თაობაზე. წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჯერ არ ჰყავს მოსწავლეები და მზადაა უახლოეს მომავალში შეიძინოს მეხუთე კომპიუტერი.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ, განაცხადა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება სავალდებულოა ავტორიზაციის მაძიებლისათვის, იმის მიუხედავად, მას ამ ეტაპისათვის ჰყავს მოსწავლეები, თუ არა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „მომავლის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „მომავალს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაცია ვერ მიიღო, ვალდებულია სემესტრის განმავლობაში უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ ადეკვატური განათლების მიღება და თუ სემესტრის დასრულებამდე სკოლა მიიღებს ავტორიზაციას, მაშინ იგი უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს სწავლებას.

7. შპს - ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

1. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

სკოლის ერთ მასწავლებელს - თინათინ მჩითავიშვილს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი აქვს მჩითვიშვილზე. პედაგოგის განმარტებით, ეს იყო მექანიკური შეცდომა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა მამუკა მესხიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული იყო სკოლის პედაგოგ თინათინ მჩითავიშვილზე და მას მინიჭებული ჰქონდა დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სკოლის კონტინტენგის 700-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო 700 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაღვროს 700-ით.

8. სპს - საერო სკოლა „მაია მზარელუას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანს სთავაზობდა მოსწავლეებს 2010-2011 სასწავლო წელს, გარდა ისტ-ისა - პირველ კლასში.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლა განთავსებულია ქ. სენაკში, ღვინჯილიას ქ. №5-ში. აღნიშნული ფართი არის ქ. სენაკის მექანიკური ქარხნის მფლობელობაში. დაწესებულების ხელმძღვანელმა წარმოადგინა აღნიშნული ქარხნის დირექტორის წერილი სკოლისათვის ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. სკოლას არ აქვს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, შესაბამისად, ვერ დგინდება ფართის მფლობელობა. შენობის საერთო ფართია 1641.6 კვ. მ. საერთო ფართიდან 169.33 კვ. მ. სპორტული დარბაზი საჭიროებს რემონტს, რომელიც დაზიანებულია წყალდიდობის შედეგად.

2.2 დაწესებულებას ვიზიტის დროს დაწყებული ჰქონდა ვერგვერდის შექმნა, მაგრამ ვებგვერდს დასრულებული სახე არ ჰქონდა. www.maiamzarelua.ge გადამოწმდა 2011 წლის 10 ოქტომბერს და იგი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

2.3 ვიდეოთვალი დამონტაჟებულია სკოლის შიდა პერიმეტრზე. დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, იგეგმება ვიდეოთვალის მოწყობა გარე პერიმეტრზეც.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

სკოლას ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შინაგანაწესში გაწერილი აქვს პუნქტი, რომლის მიხედვითაც პედაგოგის პროფესიული განვითარებისა და დაოსტატების მიზნით დახარჯული დრო ითვლება სამუშაო დროდ. აღსანიშნავია, რომ პედაგოგები საკუთარი სახსრებით გადიან სხვადასხვა ტრენინგს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ფართის ფლობის პრობლემა მოგვარებულია, რადგან მათ აღნიშნულ შენობაზე იჯარა დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნაზე, საბჭოს წევრმა, იოსებ სალუქვაძემ, განცხადა, რომ, თუ პედაგოგი თანახმაა პროფესიული განვითარებისათვის კურსები გაიაროს საკუთარი ხარჯებით, პრობლემა არ არის.

აღნიშნული ხარვეზები საბჭომ არ გაიზიარა.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, ვიდეოთვალის გარე პერიმეტრზე დამონტაჟების თაობაზე კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ ხდებოდა სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მათ არ იცოდნენ, თუ გარე პერიმეტრის კონტროლი აუცილებლობა იყო.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განმარტებით, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, იცოდეს ქვეყანაში არსებული სტანდარტები, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ. მსგავსი შენიშვნის არსებობისას, სკოლა, როგორც წესი, ავტორიზაციას ვერ იღებს.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ისინი აუცილებლად გამოასწორებენ აღნიშნულ ხარვეზს.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, არსებულ ვითარებაში, საბჭო არ არის უფლებამოსილი მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - საერო სკოლა „მაია მზარელუას“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, სპს - საერო სკოლა „მაია მზარელუას“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

კენჭისყრის შემდგომ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტანდარტების აღნიშნულ ცვლილებაზე ისინი არ იყვნენ ინფორმირებულები.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ განაცხადა, რომ როდესაც კანონმდებლობაში ცვლილებები შედის, დაწესებულება თავად უნდა იყოს დაინტერესებული აღნიშნულის გასაცნობად. ნორმატიული აქტის გამოცემის შემდეგ არ ხდება დაინტერესებული პირები ინდივიდუალურად ინფორმირება.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაცია ვერ მიიღო, ვალდებულია სემესტრის განმავლობაში უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ ადეკვატური განათლების მიღება და თუ სემესტრის დასრულებამდე სკოლა მიიღებს ავტორიზაციას, მაშინ იგი უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს სწავლებას.

9. შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა „შოვის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

დაწესებულებამ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი დოკუმენტურად დადასტურებული სახით ვერ წარმოადგინა. ექსპერტთა მიერ ინტერვიუირების შედეგად გამოირკვა, რომ სკოლა იყენებს მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმას.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 ავტორიზაციის მაძიებელმა ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. წარმოდგენილია მხოლოდ შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ წერილი, რომლის თანახმადაც, შესაბამისი თანხმობის შემთხვევაში, გაფორმდება იჯარის ხელშეკრულება სკოლასა და „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის;

2.2 ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების მფლობელობაში არსებული ლაბორატორიისა და სტანდარტით განსაზღვრული ლაბორატორიის ჩამონათვალის შედარება და გამოიკვეთა, რომ ქიმიაში სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მასალების 70%, ბიოლოგიაში - 60%, ფიზიკაში - 70%, საერთო დანიშნულების ლაბორატორიული აღჭურვილობის - 75%. მთლიანობაში სკოლას აქვს საჭირო აღჭურვილობის 68%;

2.3 ბიბლიოთეკაში სასწავლო პროცესის შესაბამისი პერიოდიკის ფლობა არ დასტურდება, მათ შორის, გაფორმებული არ არის შესაბამისი ხელშეკრულებები პერიოდიკის მიწოდებაზე.

2.4 სკოლაში არ არის მოწყობილი სველი წერტილები სსსმ მოსწავლეთათვის.

2.5 სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი (www.shovi.edu.ge), თუმცა იგი მზადების პროცესშია და არ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვებგვერდთან დაკავშირებით ხარვეზი გამოსწორებულია.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, ვებგვერდის გადამოწმება. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვებგვერდი ფუნქციონირებს და ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი ამ ეტაპისთვის არ გააჩნდა.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის მაძიებელს უნდა უდასტურდებოდეს ფართის ფლობის ფაქტი, რისთვისაც აუცილებელია, რომ შესაბამისი ინფორმაცია ასახული იყოს საჯარო რეესტრში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მას აქვს წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაგან.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემული წერილი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ფართის გადაცემის პროცესი ავტორიზაციის მაძიებლის სასარგებლოდ დასრულდება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სტანდარტი, ამ ეტაპზე, ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა „შოვის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა „შოვს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებამ, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაცია ვერ მიიღო, ვალდებულია სემესტრის განმავლობაში უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ ადეკვატური განათლების მიღება და თუ სემესტრის დასრულებამდე სკოლა მიიღებს ავტორიზაციას, მაშინ იგი უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს სწავლებას.

10. შპს - „კვანტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

1.1 შპს - „კვანტი” ფუნქციონირებს შენობაში, რომლის მისამართია - ქ. ქუთაისი, ყაუხჩიშვილის ქ. №8. სკოლა აღნიშნული შენობის 163,09 კვ. მ. ფართს მოიხმარდა მოქ. ინგა კვანტალიანის (წარმოადგენს სკოლის დირექტორს) ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებას მოქმედების ვადა ამოეწურა 2006 წლის 30 ივნისს. დაწესებულებამ შენობის ფლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ვერ წარმოადგინა. სკოლის დირექტორის განმარტებით, მან განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მისწერა წერილი ქუთაისის 25–ე საჯარო სკოლის შენობის შესყიდვის თაობაზე (25–ე და მე–4 სკოლები ოპტიმიზაციით გაერთიანდნენ და ფუნქციონირებას განაგრძობენ მე–4 საჯარო სკოლის შენობაში).

ამჟამად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმდინარეობს ზეპირი შეთანხმების პროცესი ქ. ქუთაისის 25–ე საჯარო სკოლის შენობის შესყიდვაზე. დირექტორთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლა აწარმოებდა 25–ე საჯარო სკოლის შენობის შიდა აზომვითი სამუშაოებს, რაც არის წინაპირობა სამინისტროსთან მიმდინარე შეთნახმების სკოლის სასარგებლოდ დასრულებისა.

1.2 საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო რაოდენობის ერთადგილიანი (90 ერთეული) და ორადგილიანი მერხებით (42 ერთეული). სკოლა გეგმავს მათ შეცვლასაც, რისთვისაც დადებულია ხელშეკრულება ი/მ გელა კვანტალიანთან (პ/ნ 60001018508) მერხის დამზადებაზე.

1.3 სკოლა აპირებდა სველი წერტილის მოწყობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, თუ შენობაში დარჩებოდა, მაგრამ რადგან სკოლას დაგეგმილი აქვს სხვა შენობის შეძენა, ამიტომ გააჩერა მშენებლობის პროცესი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მათ ფართის პრობლემა ვერ მოაგვარეს.

სხდომის თვამჯდომარის განცხადებით, სკოლისათვის ფართის უქონლობა არის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რიც გამოც დადებითი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „კვანტის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „კვანტს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაცია ვერ მიიღო, ვალდებულია სემესტრის განმავლობაში უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ ადეკვატური განათლების მიღება და თუ სემესტრის დასრულებამდე სკოლა მიიღებს ავტორიზაციას, მაშინ იგი უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს სწავლებას.

11. შპს - წმინდა ექვთიმე ათონელის სახელობის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

ექსპერტთა მიერ შემოწმდა სკოლის მიერ წარმოდგენილი 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც ჯერ არ იყო დამტკიცებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 2011-2012 სასწავლო წელს დაწესებულება სახელმწიფო ქონების მართვის ხაშურის რაიონულ სამმართველოსთან დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა 326 კვ. მ. ფართს ხაშურში, ფარნავაზის ქ. №4-ში. ხელშეკრულებას ვადა ამოიწურა 2011 წლის 26 აპრილს. სკოლამ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აღნიშნული შენობისა და ფარნავაზის ქ. №2-ში მიმდებარე შენობის შესყიდვის თაობაზე, რაზეც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა მიიღო, ამჟამად სკოლა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობის მოლოდინშია. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ ფართის ფლობა ვერ დაადასტურა.

სკოლამ, ზემოაღნიშნული შენობების გარდა, სურვილი გამოთქვა, შეესყიდა №1 და №8 საჯარო სკოლები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხი მიმართვაზე ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო ცნობილი.

2.2 სკოლა ფლობს 52 2-ადგილიან და 9 ინდივიდუალურ მერხს, 118 სკამსა და 13 დაფას. ეს ინვენტარი აღრიცხულია საინვენტარიზაციო წიგნში, მაგრამ შეძენის დოკუმენტები აქვთ მხოლოდ 10 სკამსა და 20 მერხზე. ბუღალტრის განმარტებით, დანარჩენი ინვენტარი შეძენილია მის სკოლაში მისვლამდე და შეძენის დოკუმენტები მისთვის არ გადაუციათ.

2.3 სკოლას ექსპერტთა ვიზიტის დროისათვის არ გააჩნდა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია.

2.4 სკოლის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ შენობაში სველი წერტილი არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

2.5 ექსპერტთა ვიზიტის დროისათვის სკოლის ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა წიგნების აღრიცხვა და საინვენტარიზაციო წიგნში გატარება.

სკოლას აქვს ყველა საბაზო და საშუალო კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოების არასრული ჩამონათვალი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ისინი, რომლებიც აკლია, მასწავლებლებს აქვთ ხელზე, მაგრამ ეს არსად არ არის დაფიქსირებული.

სკოლას ექსპერტთა ვიზიტის დროს არ ჰქონდა შეძენილი დაწყებითი კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა გამომცემლობა "ბაკურ სულაკაურის" ორ საგნობრივ კომპლექტს ფლობდა.

2.6 სკოლას ვებგვერდი არ აქვს.

2.7 სკოლამ ვერ წარმოადგინა ცეცხლმაქრის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო საევაკუაციო გეგმა დამზადებულია, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო თვალსაჩინო ადგილას განთავსებული.

2.8 სკოლა ფლობს უსაფრთხოების 2 კამერას. ექსპერტთა ვიზიტის დროს ისინი დამონტაჟებული არ იყო.

2.9 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სკოლამ წარმოადგინა პროგრამის სახით. მასში არ არის მითითებული არც აქტივობები და შესასრულებელი სამუშაოები, არც ვადები და პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მათ ყველა ხარვეზი გამოასწორეს, გარდა ფართის დაკანონებისა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმინდა ექვთიმე ათონელის სახელობის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - წმინდა ექვთიმე ათონელის სახელობის ლიცეუმს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაცია ვერ მიიღო, ვალდებულია სემესტრის განმავლობაში უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ ადეკვატური განათლების მიღება და თუ სემესტრის დასრულებამდე, სკოლა მიიღებს ავტორიზაციას, მაშინ იგი უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს სწავლებას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:01 საათზე.

თავმჯდომარე
იოსებ სალუქვაძე

მდივანი
რუსუდან ტყეშელაშვილი